საქართველო

წ. I

სამშაბათი 23 ივნისი 1915 წ.

ფასი: წლიურად 8 მ., ნახევარი წლით 5 მ., თვიურად 4 მ. ცალკე ნომერი ერთი შაური. [illegible] წლიური ხელის მომწერლებს გაზეთის [illegible] ნაწილნაწილად გადაიხადონ. ხელის მოწერ[illegible] ნარჩენი კიდევ ნაწილნაწილად. განცხადებ[illegible] ჩვეულებრივი სტრიქონი პირველ გვერდზე პეტიტით ღირს 15 კაპ., უკანასკნელზე 10 კ. სხვა ადგილებიდან კავკასიის გარეშე მიღებულ განცხადებათა ფასი: სტრიქონი პეტიტ ტექსტის წინ 20 კაპ., უკან 15 კ. სამგლოვიარო განცხადების დაბეჭდვა თითოჯერ ნაშუადღევის 2 საათ. ღირს 3 მ. 2 საათს შემდეგ 4 მან.

№ 111 ყოველდღიური საპოლიტიკო და სალიტერატურო გაზეთი № III

ტელეფონი № 76.

„სამშობლო დედის ძუძუი, არ გაიცვლების სხვაზედა,
ორივ ტკბილია ძმობილო, მირჩევნის ორსავ თვალზედა,
როგორც უფალი, სამშობლოც ერთია ქვეყანაზედა“

ტელეფონი № 76.

ელექტრო „რადიუმი“ თეატრი
საზაფხულო შენობაში.
ორშაბათიდან, 22 ივნისიდან ახალი პროგრამა.

პატე ჟურნალი მსოფლიო ქრონიკა
ოყვილი ლურჯა ცხენი
ავტ[illegible]ტანის ცხობილი დუქსიდან. დრამა 4 ნაწ. ეპიზოდებით.
მონაწილეობენ ცნობილი არტისტები: რინდინისა და მოზუზინი.

კერძო პროფესიონალური სასწავლებელი ოთხკლასიანი საქალებო
პროგიმნასიის კურსით, ეკგენ. კორძაიასი
პირველ თიბათვიდან მოთავსებულია ოლდენბურგის ქუჩაზე, დავით ამდუშელიშვილის სახლში, სადაც მაიდება თხოვნები ყოველ დღე. გამოცდები დაიწყება 25 აგვისტოდა, ხოლო სწავლა პირველ ენკენისთვიდან.
3—2—476.

ა ბ ა ნ ო.

ს. ზეკარში, ბალეთიდან 22 ვერსის მანძილზე 16 ივნისიდან იწყებს წარმოებას გოგირდის თბილი წყლიანი აბანო, მშვენივრად მოწყობილი ვანებითა და ოთახებით. აბანო მდებარეობს დიდებულათ შემკობილს ბუნებით ადგილზე, მშვენიერის ტყის პირში დიდ გზაზე. 10 ივნისიდან ბალდათიდან ივლის 3 ცხენიანი, რიზინის თვლებიანი ეტლი, ნაშუადღევის ორი საათიდან ყოველ დღეს. აბანოს ახლავს ახლო სოფელი და დუქანიც, სადაც იშოვება ყოველივე სანოვაგე. წყალი სამაგალითოდ მოქმედებს ავათმყოფებზე. ემეტესად ურმით მოყვანილი ავათმყოფი, რამოდენიმე ბანაობის შემდეგ, ბრუნდება ულან ჯანსაღი, ფეხით. აბანო კურნავს ნერვების სისუსტეს, რევმატიზმს, ვენერიულ ავათმყოფობას, ჭეშების ტკივილს, ტანის ქავილს და სხვას.

აბანოს მოიჯარადრე ად. ლვალაძე თ.

ბაბრიელ იოსების ძე
ექიმი გოკიელის
ელექტროლინისა და სინათლის კაბინეტი.
შინაგანი ნევრებისა და ვენერიულ ავათმყოფების მიღება დილის 9—12 საათ. საღ. 9—8 საათ. ალექსანდრეს ქუჩა, საგუთარი სახლი.

დოქტორი მედიცინისა, პრივატ დოცენტი ვარლამ პავლეს ძე მოსეშვილი 8 მაისიდგან მიიღებს ავათმყოფებს დილის 8 საათიდგან ნაშუადღევის 2 საათამდის და ნაშუადღევის 5 საათიდგან საღამოს 8 საათამდის. გოშბატლის ქუჩა, მოსეშვილის სახლი, ხაზინის პირდაპირ № 6. თ

ექიმი რელიგიოზნი დაბრუნდა და განაახლა ავათმყოფების (ქირურგიულ და ქალურ ავათმყოფთა) მიღება თავის ძველ ბინაზე. ავათმყოფების მიღება—დილის 12 საათიდან 2 საათამდი.

კბილის ექიმები
მენალარიშვილი და ტრუფანოვა
ბათომიდან გადმოვიდენ ქალ. ქუთაისში. თფილისის ქუჩა, სახლი ბახტაძისა, ფირალოვის თუთუნის ფაბრიკის გვერდში. ავათმყოფებს ღებულობენ დილის 8—2 და საღამოს 5—6, არჩენენ ავათმყოფობას კბილებისა და ღრძილებისას. აკეთებენ ხელოვნურ კბილებს: კაუჩუკზე, ოქროზე და ალუმინზე. ღრძილების ავათმყოფობას არჩენენ რამდენიმე წესანსზე ახალი საშუალებით. თ.

ექიმი ი. ჩარეიძოვი ქალაქ. საავათმყოფოს ორდინატორი. განაახლა კანის, ვენერიულ და სიფილისიანი ავათმყოფების მიღება ახალ ბინაზე, დილით, 12—2 საათ. საღამ. 6—8 საათ. მისამართი: ლევაშოვის ქუჩა, ალბეგოვის სახლში. (თ.)

კერძო ექიმი მიხეილ კაშ
კურსავს ოფიციალურ თვალის ტკივილის ავათმყოფობას. ღებულობს დილის 7 საათ. მისამართი: შესამე ალექსანდრეს ქუჩა., პეტრე-პავლეს ეკლ., სახლი დავ. კაშიასა
თვ

ომი

(პეტ. დეპ. საგენტოსაგან).

დასავლეთის ასპარეზი.

პარიზი. 20 ივნისი. დღის ოფიციალური ცნობა. ღამის განმავლობაში სამხრეთით პირის ბევრ ნაწილებში ყუმბარების ძლიერი სროლა გრძელდებოდა, განსაკუთრებით ვსტენის რაიონის ნაწილებში იპრის სამხრეთ-აღმოსავლეთით სუშევერნიეშის და ენის ჩრდილოეთით. ცხარე და ხანგრძლივი ყუმბარების სროლის შემდეგ მტრის გრენადერების პოლკმა დაახლოვებით ორ საათზე ადრე—ანკრს მიმავალ გზაზე ჩვენ პოზიციებზე და აგრეთვე ბეტიუნის გზის ჩრდილოეთით მოიტანა იერიში, რომელიც უშედეგო იყო, ბავეაველის ახლოს ჩვენმა ნაღმმა მტრის სიმაგრის გამოწეული ნაწილი გაანადგურა. არგონებზე ძლიერი ბრძოლა გრძელდებოდა მთელ ღამეს. მტერმა იერიში მოიტანა დიდი ყუმბარების მტყორცნელებისა, საწამლავი ნივთიერებით შეზავებულ ყუმბარების დახმარებით. იერიში მოვიგერიეთ. აგრეთვე იერიში მოვიგერიეთ ლეპრატის ტყის სათადარიგო უბანში.

საღამოს ოფიციალური ცნობა. იზერიდან არგონამდე მთელ პირზე არტილერიის სროლა იყო, განსაკუთრებით კენენვიერის რაიონში. არგონზე ყუმბარების ცხარე სროლის შემდეგ დილით ხელმეორეთ შეტევაზე გადასვლას შეეცადა ბინერვილის და ბლან ლეილის შუა. იშვიათი ცხარე ბრძოლის შემდეგ, რომელიც სხვადასხვა ადგილას ხიშტებამდე აღწევდა, ჩვენ ყველა პოზიციები შევინარჩუნეთ. გერმანელები გუშინ საღამოს წინასწარ ჩვენ პოზიციებზე ყუმბარების დაშენის შემდეგ, შეეცადენ რამდენიმე იერიშის მოტანას, რომელთაგან პირველი ორი მოვიგერიეთ, მესამე იერიშის შემდეგ მტერმა ჩვენი პოზიციების დაკერა შესძლო. დილით კონტრიერიშებით ჩვენ ყველა პოზიციები დავიბრუნეთ, რომლებზეც მტერი ყუმბარების დაშენს განაგრძობს.

დარდანელი.

დარდანელზე ინგლისის ჯარის მოქმედობის კარგი შედეგების შემდეგ ოსმალები 15 თიბათვს შეეცადენ რამდენიმე კონტრ-იერიშის მოტანას ჩვენ მიერ დაპერილ პოზიციებზე, მაგრამ დიდი ზარალით მოგერებულ იქნენ. ჩვენ 17 ივნ. მტრის სიმაგრე დავიჭირეთ, რომელიც ოთხკუთხედს წარმოადგენს ექვსი ზედიზედ მიყოლებულ თხრილებით. აღმოსავლეთის ადგილში, რომელიც მტრის გვამებით არის მოფენილი, მტერს იერიში არ მოუტანია.

ათინა. 20 ივნ. ტენედოსიდან იტყობინებიან: გალიპოლის ნახევარკუნძულზე დიდის სიაფრთით ბრძოლები განახლდა, ხუთი ჯავშნოსანი სრუტეების ფორტებს და ბატარეებს ყუმბარებს უშენს, მათ კსერსის მხრიდან სამი ჯავშნოსანი ეხმარება. შეტევაზე გადასულ მოკავშირეების პოლკებმა ამ სექტორზე რამდენიმე თხრილი დაიჭირეს, რომლებიც დახოცილ ოსმალთა გვამებით იყო ამომსებული. მოკავშირეთა ფლოტმა ხიოსის პირისპირ მდებარე საგასიკის ადგილს ყუმბარები დაუშინა, მარმარილოს ზღვის სანაპიროს მცხოვრები ბერძნები პრიდლოს გომში გადაახლეს. სათბობ მასალის მიწვდენის აწინაღმდეგოთ, ინგლისის წყალქვეშა ნავებმა ბაზათ დაისახეს მარმალილოს ზღვა.

პროტესტი ინგლისის წინააღმდეგ

ათინა. 19 ივნ. ხუთი დღის წინათ ინგლისის წყალქვეშა ნავისგან ჩაძირულ ნორკეთხაირის კომპანიის გემზე, რომელიც ოსმალების რაზმი გადაყვანდა 800 ჯარის კაცი დამხრჩვალი საბერძნეთს თავის პროტესტზე ინგლისისგან ჯერ პასუხი არ მიუღია.

მეძხიკა.

ნიუიორკი. 20 ივნ. პუებლოს 11 თიბათვის დეპეშიდან სჩანს, რომ ქალ. მექსიკოს დასაპყრობათ კარანცასა და

ეროვნული ბიბლიოთეკა

როდესაც ნიუპორტს მიმავალი ინგლისის შხუნა ბროულედთან წყალქვეშა ნავმა ჩაძირა. 9 მეზღვაური ტრაულერმა გადაარჩინა.

ლონდონი. 19 ივნისი ნაღმოსანი „ლაიტინგი“ წარსულ ღამეს აღმოსავლეთის სანაპიროსთან ნაღმით ან და წყალქვეშა ნავის ნაღმით არის დაზიანებული. ამ ქამად ის ნავთსადგურთან სდგა. კოძანდიდან 15 უკვალოთ დაიკარგა. „ლაიტნინგი“ დაძველებული ხომალდია 320 წყალწყვისა. გაკეთებულია 1893 წ.

გერმანიის კრეისერის ჩაძირვა

სტოკჰოლმი. 19 ივნ. ვისბიდან იტყობინებიან: გერმანიის კრეისერი „ალბატროსი“ ხაპარზე ასე მეტრით დაშორებული თავთხელში გაირბინა და ვერ იძვრის. ამ კრეისერზე მოკლულია უფროსი ლეიტენანტი, 23 მეზღვაური და 29 დაჭრილია, როგორცა ჩანს, „ალბატროსი“ ნისლის დროს გერმანიის კრეისერების ესკადრას ასცდა, და 20 ყუმბარა მოჰკვდა. წინა ნაწილი გაბრუნდებული აქვს.

ბრძოლა ზღვაზე.

პეტროგრადი. 19 ივნ. შავ ზღვაზე ჩვენმა წყალქვეშა ნავმა კასკენთან ნაღმით გემი ჩაძირა, რომელსაც 2500 წყალწყვა ჰქონდა, დასწვა და ჩაძირა ბარკა 1500 წყალწყვისა და გემი 400 წყალწყვისა. კასკენის ახლო, ყველა ეს სამი გემი სანოვაგით და ქვანახშირით იყვნენ დატვირთული, შემდეგ სროლა აუტეხა ნაპირთან სხვა გემს. ქვანახშირის ბარჟები, რომლებიც გემზე იყვნენ მობმული ნაპირზე გამოირიყნენ. ბოსფორის ახლო წყალქვეშა ნავი პატარა შხუნას არტილერიით შეებრძოლა, რომელსაც ზარბაზანი და თოფები ჰქონდა. ზარბაზნისა, ტყვიის მფრქვეველისა და თოფის სროლის შემდეგ შხუნა ნაპირზე გამოირიყა. ორი სხვა შხუნა, რომელიც პირველს მისდევდა იგივე გაიმეორეს. სარწმუნო წყაროდან იტყობინებიან, რომ დღეს დილით მაიაკსა და ესტერგარნს გასწვრივ კუნძულ გოტლანდის აღმოსავლეთის ნაპირზე ჩვენი კრეისერები ქარიშხალში ორ მსუბუქ კრეისერებს და ნაღმოსნებს შეჭხვდნენ და შეებრძოლნენ. დილის 9 საათზე გერმანიის ერთმა კრეისერმა, რომელიც ძალიან დაზიანდა, ბაირაღი ჩამოუშვა და ნაპირზე გამოირიყა. მეორე კრეისერი ნაღმოსნებს გაჰყვა. დილის 10 საათზე ჩვენი რაზმი ჯავშნიან კრეისერს „როონ“ და ერთ სუბუქ კრეისერს და ნაღმოსანს „ნოვა“-ს შეებრძოლა. ათ საათზე და 30 წუთ. მტერმა სამხრეთისკენ დაიხია, უკანდახევის დროს მტერს ერთი მსუბუქი კრეისერი კიდევ შეუერთდა, ჩვენი კრეისერი „რიურიკი“ მოვიდა. იერიშში მიიტანა და უკუაქცია. 11 საათზე და 30 წუთ. „რიურიკი“ მტრის დევნას თავი დაანება. ბრძოლის შემდეგ ჩვენ რაზმზე წყალქვეშა ნავებმა უშედეგოთ მოიტანეს იერიში. ჩვენი კრეისერების ზიანი სრულებით უმნიშვნელოა.

ყუმბარების ჩამოყარა.

რომი. 20 თებერვ. საზღვაო მთავარი შტაბის უფროსი იტყობინება: გუშინ ადრიატიკის ზღვის ზევითა ნაწილში ფრანგების მფრინავმა 15 მეტრ. სიმაღლიდან არტილერიის წყალქვეშა ნავზე ორი ყუმბარა ჩამოაგდო 11 ყუმბარები წყალში გასკდნენ პერისკოპის კოშკის ახლო, როგორცა ჩანს, კარგი შედეგი უნდა ჰქონდეთ.

აღმოსავლეთის ასპარეზი.

პეტროგრადი. 20 ივ. მურავიოვისა და შავლის რაიონებში გაძლიერებულ სროლა იყო. ვენტის მარცხენა ნაპირზე ჩუიკის ახლო მტრის ესკადრონმა მოულოდნელათ ჩვენსას შრაპლენი მოახვედრა და იძულებული გახადა გაფანტულიყო, კორენგოვოს მიდამოებში გერმანელების როტა შეეცადა ჩვენ სანგარებს მოახლოვებოდა, მათ თოფისა და ტყვიის მფრქვეველის ძლიერი ცეცხლით დავუხვდით, შვრიაში ჩაწვა ჩვენ პოზიციებზე 400 ნაბიჯით დაშორებული. ჩვენი მზვერავები გერმანელებს მიეპარნენ, ყუმბარები დააყარეს, თავზარი დასცეს და აიძულეს თავის სანგარებს დაჰბრუნებოდნენ. ჩვენი ყუმბარების მარჯვე სროლამ ბეტიგოლის რაიონში გერმანელებს ტყვიის მფრქვეველებით ბლინდაჟი დაუნგრია, შევნიშნეთ რომ ორი ტყვიის მფრქვეველი ჩვენი ყუმბარის აფეთქებამ მაღლა შეისროლა. ნემანის მარცხენა ნაპირზე დიდი ბრძოლებიარ ყოფილა. ჩვენმა მზვერავებმა მოახერხეს ბრიზგელთან გერმანელების მავთულიანი დიდი ხლართის გადაკვეთა. გერმანელების საავტომობილო ზარბაზანი კოლონის ტბასთან ჩვენ სანგარებს უშედეგოთ ესროდა. ოსოვეცის პირზე მტრის მძიმე არტილერია ცდილობდა სიმაგრის რაიონისთვის სროლა აეტეხა. ოსოვეცს არტილერია მტრის ბატარეიის ცეცხლს ფიცხლავ აქრობდა.

ᲡᲐᲛᲨᲝᲑᲚᲝᲡ ᲠᲔᲓᲐᲥᲪᲘᲘᲡ ᲙᲐᲜᲪᲝᲠᲐ ᲛᲝᲐᲒᲝᲜᲔᲑᲡ ᲗᲐᲕᲘᲡ ᲗᲕᲘᲣᲠ ᲮᲔᲚᲘᲡ ᲛᲝᲛᲬᲔᲠᲚᲔᲑᲡ, ᲕᲘᲡᲐᲪ ᲣᲙᲐᲜᲐᲡᲙᲜᲔᲚᲘ ᲗᲕᲘᲡ ᲒᲐᲖᲔᲗᲘᲡ ᲓᲐᲡᲐᲙᲕᲔᲗᲘ ᲤᲣᲚᲘ ᲐᲠ ᲨᲔᲛᲝᲣᲢᲐᲜᲘᲐ, ᲬᲐᲠᲛᲝᲐᲓᲒᲘᲜᲝᲡ ᲙᲐᲜᲪᲝᲠᲐᲨᲘ 25 ᲘᲕᲜᲘᲡᲐᲛᲓᲘ, ᲬᲘᲜᲐᲐᲚᲛᲓᲔᲒ ᲨᲔᲛᲗᲮᲕᲔᲕᲐᲨᲘ ᲐᲛ ᲠᲘᲪᲮᲕᲘᲓᲐᲜ ᲒᲐᲖᲔᲗᲘᲡ ᲒᲖᲐᲕᲜᲐ ᲛᲝᲔᲚᲘᲡᲙᲕᲐ.

ᲟᲣᲠᲜᲐᲚᲗᲐᲜ ᲒᲐᲖᲔᲗᲘᲡᲒᲘᲓᲐᲜ.

გაზ. „დენ“-ს ატყობინებენ, რომ მთავარ სარდლის ნებართვით ინგლისის, საფრანგეთისა და იტალიის პრესის კორესპონდენტები დაივლიან ჩვენი ჯარის ყველა ფრონტს, რომ აცნონ თავიანთ გაზეთებს ჩვენი ჯარის სულიერი მდგომარეობა.

უმაღლესი მთავარ სარდლის საპატიო დიპლომი.

17 ივნის პეტროგრადის უნივერსიტეტის გამგეობამ დაადგინა დახელი მოაწერა საპატიო დიპლომს მისი უმღერესობის ნიკოლოზ ნიკოლოზის-ძის სახელზე. დიპლომს თან ახლავს წერილი შემდეგი შინაარსით: „მისი უდიდებულესობის ხელმწიფე იმპერატორის ნებართვით. პეტროგრადის უნივერსიტეტის საბჭო ერთხმათ გთხოვთ თქვენ იმპერატორობის უმაღლესობას მიაღოთ წოდება პეტროგრადის უნივერსიტეტის საპატიო წევრისა“.

— გაზეთი „დენი“-ს გადმოცემით, იტალიის მეფე და ყველა მინისტრის შვილები მოქალდ ჯარში უბრალო ჯარის კაცებთან ერთად იბრძვიან.

მეფე იმდენათ უშიშრათ იქცევა, რომ იწვევს ჯარის აღტაცებას.

— ბელგიელი ანტიმილიტარისტების პარტიის ლიდერი მეფეალბერტმა საგმირო ორდენით დააჯილდოვა იმ ვეტერანობისათვის, რომელიც მან გამოიჩინა ფლანდრიაში უკანასკნელ იერიშის მიტანის დროს.

რუსეთის ქრონიკა.

მიტროპოლიტ ვლადიმერის თავმჯდომარეობით უწმინდ. სინოდის სხდომაზე დაადგინეს, რომ სემინარისტებს ნება მიეცეს უნივერსიტეტში შესვლისა. „დენი.“

— პოლონეთის მრავალ ადგილიდან, სადაც გერმანელები შეეიდნენ, ადგილობრივი მამაკაცები საშოვარის თვის გერმანიაში გაემგზავრენ. ლოძიდან გავიდა 30000 კაცი, ალექანდროვიდან 2000 კ, ბგერეკიდან 4000 ხმა გავრცელდა, რომ მამაკაცების მიწვევას გერმანიაში სამუშაოთ მიზნათ აქვს, რომ მეტალურგიის საწარმოებში მცოდნე მუშები იდგეს; დანარჩენი საომარათ ჯარში იგზავნებიანო. „ბ. ვ.“

ს. რ. პარტიის საქმე

16 ივნის პეტროგრადის სამხედრო სასამართლომ გაარჩია ს. რ. პარტიის 7 წევრის საქმე. პასუხის გებაში არიან მიცემულნი ავსტრიის ქვეშევრდომი მარგარიტა ტირმანი, ვოლეოვი, სარიგინი, კოროლევი კუზმიჩევი, ჩურკინი და გრიგორიევი. მათ გაჩხრეკის დროს უპოვეს საბეჭდავი აპარატი და პროკლამაციები ომის საწინააღმდეგო შინაარსისა.

სამხედრო სასამართლომ კატორგა მიუსაჯა სარიგინს და კოროლევს 6 წლით, ვოლკოვს და კუზმიჩევს 4 წლით. დანარჩენები გაამართლა. „ნ. ვ.“.

— სახელმწიფო საათათბიროს ეროვნულ ფრაქციის ლიდერმა პ. ნ. ბალაშოვმა ფრაქციის სახელით ოფიციალური პროტესტი გამოაცხადა საათათბიროს ნაადრევ მოწვევისათვის. „რ. ს.“.

გუჩკოვის აზრი დღევანდელი მომენტის შესახებ.

არის ორგვარი საშიშროება, ამბობს ა. ი. გუჩკოვი. ერთი აღვიძებს ენერგიას, ამხნევებს სულს და გვიწვევს სამუშაოთ, მეორე ადუნებს და აღძლურებს ძალღონეს ჩვენ განვიცდით პირველს — და მადლობა ღმერთს კარგათ ვიცით, თუ როგორ ინტენსიურათ იბრძვის ახლა გერმანია ჩვენ წინა სდგას მტერი თავიდან ფეხებამდე შეიარაღებული. მაგრამ ისიც ვიცით, რომ ადამიანის ძალღონესაც საზღვარი აქვს. მე დარწმუნებული ვარ ჩვენი მტრების ძალებიც დასუსტდებიან და საბოლოოთ ჩვენ გავიმარჯვებთ.

გუჩკოვი დიდ მნიშვნელობას აძლევს რამოდენიმე სათათბიროს წევრის მოწვევას. [illegible] მჯდომარეობით. მისი აზრით ამ კრებამ უნდ[illegible] სურსათის მიწოდით. ის დიდი პატივით იხსენებს დღევანდელ სახელმწიფო მინისტრს პოლივანოვს. დასასრულ გუჩკოვი ამბობს: მე უცქერი რუსის ხალხს და ვერ ვძღები სიხარულით. დახეთ როგორი სიყოჩაღე გამოიჩინა მან ამ დღეებში.

ამ დღეებში გუჩკოვი ბრძოლის ველისკენ გაემგზავრება. „დ.“

საზოგადო ჯანმთელობის დამცველმა კომიტეტმა გამოსცა მოწოდება, რომლითაც უკხადებს ვარშავის მცხოვრებლებს რესპირატორებიხმარების საჭიროებას, რადგან სულის შემხუთველი გაზები სანგარების ხაზს იქით გაცილებით შორს აღწევს და ძრიელ ცუდათ მოქმედებს მცხოვრებთა ჯანმთელობაზე. „ნ. ვ.“.

სამშობლოსათვის.

„დენ“-ში მოთავსებულია ამავე გაზეთის კორესპონდენტთან ერთი სომხის ნალაპარაკევი, რომელსაც შემდეგი უთქვამს:

„ჩვენ სომხები ვართ ამერიკიდან ჩამოსულნი. ოდესღაც ჩვენ ოსმალეთის ქვეშევრდომი ვიყავით, მაგრამ სასტიკი დევნის გამო გადავსახლდით შტატებში, სადაც კარგათ მივეწყვეთ. მაგრამ ახლა, როცა ომია ოსმალეთთან, ჩვენ ვერ შევსძელით საშობლო სომხეთის გარეთ დარჩენა. ამერიკის სომხების ახალშენმა გამოქცულ და დაჭრილ სომეხთა სასარგებლოთ გამოგზავნა თბილისში 200,000 დოლარი, მაგრამ ეს ჩვენ ძლიერ ცოტათ გვეჩვენა. და გავყიდეთ მთელი ჩვენი ქონება უფასოთ, მივატოვეთ ყველაფერი და გამოვსწიეთ კავკასიისაკენ, რომ მონაწილეობა მივიღოთ ჩვენი უბედური საშობლოს განთავისუფლებაში. ჩვენ ასეთი შემთხვევა კვლავ არ მოგვეკემა. ჩვენ მივდივართ სასიკვდილოთ, მაგრამ ჩვენ ვფიქრობთ მხოლოდ სომხეთზე. მე თქვენ არ მოკიყვებით ოსმალების იმხეცეს, თქვენ ის წაკითხული გექნებათ. მაგრამ წარმოიდგინეთ რა უნდა იყოს ის, როცა 100 წლის წინათ ჩვენ ვიყავით 30-ი მილიონი და დღეს — კა მარტო 4 მილიონი და დავრჩითო“.

ᲕᲔᲘᲡᲢᲝᲠᲘᲔ ᲓᲘᲛᲘᲢᲠᲘ ᲖᲐᲥᲐᲠᲘᲐᲡ ᲫᲔ ᲑᲐᲥᲠᲐᲫᲔ ᲓᲐ ᲛᲘ Ი ᲚᲕᲐᲕᲚᲘ*)

(მისი გარდაცვალებიდან 25 წლის შესრულების გამო).

„სამაგალითო შრომასთან ცოდნა
და სიყვარულით აღვსილი გული—
ეი ვის ჰქონდა ჩვენში უტყუვრად
მონიჭებული... შეთვისებული.
დადუმდა ბაგე მართლის მეტყველი,
გულზე დაეცდო „მშრომელი ხელი,
წარსულ სიბნელის ნათლის მომფენელს
ამიერიდან დაფარავს ბნელი.
მაგრამ დაფარავს მარტო მხოლოდ გვამს,
და სახელი კი,—შვილთა დიდება,—
ნათლის სხივებით გაბრწყინვებული
ბნელ სამარეში თან არ ჰყვება.
ის აქ დარჩება საშვილიშვილოდ,
ვით რჯული ჩვენთვის, ვით წმინდა მცნება,
და ყველას გულზე დაგვებეჭდება
სამარადისოდ მაგის ხსენება.
მშვიდობით, ძმაო! ნეტარება შენ,
რომ შეასრულე ამ სოფლის ვალი;
შენს ნაყოფიერს წარსულს და აწმყოს
ძეგლად დაგვიდევს თვით მომავალი.
ძეგლი იქნება გრძნობა-გონება
და არა ხელით ზე ამართული;
ზედ ეწერება: „კიდევ დიმიტრი,
ესეც ქვეყნისთვის თავდადებული!“

აკაკი.

უკვდავმა სულმნათმა აკაკიმ ეს ზემოდ თქმული ლექსი მიუძღვნა მეისტორიე დიმიტრი ზაქარიას ძე ბაქრაძე და მი ი ლვაწლი*) (მისი გარდაცვალებიდან 25 წლის შესრულების გამო).

„სამაგალითო შრომასთან ცოდნა
და სიყვარულით აღვსილი გული—
ეი ვის ჰქონდა ჩვენში უტყუვრად
მონიჭებული... შეთვისებული.
დადუმდა ბაგე მართლის მეტყველი,
გულზე დაეცდო „მშრომელი ხელი,
წარსულ სიბნელის ნათლის მომფენელს
ამიერიდან დაფარავს ბნელი.
მაგრამ დაფარავს მარტო მხოლოდ გვამს,
და სახელი კი,—შვილთა დიდება,—
ნათლის სხივებით გაბრწყინვებული
ბნელ სამარეში თან არ ჰყვება.
ის აქ დარჩება საშვილიშვილოდ,
ვით რჯული ჩვენთვის, ვით წმინდა მცნება,
და ყველას გულზე დაგვებეჭდება
სამარადისოდ მაგის ხსენება.
მშვიდობით, ძმაო! ნეტარება შენ,
რომ შეასრულე ამ სოფლის ვალი;
შენს ნაყოფიერს წარსულს და აწმყოს
ძეგლად დაგვიდევს თვით მომავალი.
ძეგლი იქნება გრძნობა-გონება
და არა ხელით ზე ამართული;
ზედ ეწერება: „კიდევ დიმიტრი,
ესეც ქვეყნისთვის თავდადებული!“

აკაკი.

*) ეს რეფერატი წაიკითხა ავტორმა ამ წლის 21 ივნისს ქუთაისის ქართული საისტორიო და საეთნოგრაფიო სხდომაზე.

სიბნელისთვის ნათლის მომფენელს“.

ამ ღრმა—ჭეშმარიტ და სხარტულად დაწერილ ლექსში მგოსანმა აკაკიმ მოკლედ და მკაფიოდ წარმოგვიდგინა როგორც დიმიტრი ბაქრაძის ნათლით მოსილი პიროვნება, ისე მთელი მისი ნაშრომ-ნაღვაწის სიდიადე... რისთვის... დაგვებეჭდება გულზე სამარადისოდ მისი ხსენება? რისთვის დაუდგამს გრძნობა-გონების ძეგლს მას ქართველთა მომავალი? რად იწოდება ის თავდადებულად?— ყოველივე ეს საკითხები უნებლიედ იბადება ჩვენს შეგნებაში დღესაც, თუმცა მისი გარდაცვალებიდან ოცდა ხუთმა წელიწადმა განვლო...

პოეზია და მსაჯიობობის გარდა ერის გონებას ასაზრდოებს, ზნეობას ეფაქიზებს და მას ნივთიერად აღანიერებს ბევრი სხვა რამ: ისტორია, არხეოლოგია (ანუ სიძველეთმეცნიერება), ეთნოგრაფია, ფილოსოფია, ფსიხოლოგია, ლოგიკა, ეკონომიური მეცნიერებანი, მასწავლებლობა, პრესა, მესტამბეობა, ვაჭრობა-მრეწველობა და სხვა... ისტორიას და არხეოლოგიას ყოველი ერისთვის აქვს დიდი მნიშვნელობა და, რა გასაკვირველია, რომ ჩვენისთანა ბედში მყოფი ერისთვის უფრესი მნიშვნელობა ჰქონდეს. ქართველი ერი, ეჭვს გარეშეა, ისტორიული ერია: ერთ დროს, ქრისტეს დაბადებამდის, დიდ როლს თამაშობდა მოფლინ ისტორიაში. ქართველი ერი ძველად სხვა და სხვა სახელით არის ცნობილი. მისი ისტორია იწყება ქრისტეს დაბადებამდის მეთერთმეტე საუკუნის წინა დროებში. ურარტნი, მოსხნი, კოლხნი, ქალდნი, ქალიბნი, თუბალნი, სანნი ქართველი ტომისანი იყვნენ. მათ სახელებს ვხვდებით უძველეს ისტორიაში.

ქართველი ერი იმ თავითვე იყო ერთ კულტურულ ანთაკანი. მას ჰქონდა თავისი მწერლობა, თავისი სამხედრო და სამოქალაქო წყობილება, თავისი ჩაცმა—დახურვა, ამშენებლობა და სხ. იგი სრულიად მოვზადებული აღმოჩნდა ქრისტეს მოძღვრების შესათვისებლად. ვიცით, რომ ქრისტეს მოძღვრებამ მხოლოდ იქ მოიკიდა მტკიცეთ ფეხი, სადაც ერი კულტურის მხრით მაღალ საფეხურზე იდგა... ასეთმა ერმა შექმნა თვისი საქრისტიანო ღვთისმეტყველება ყველაკან, სადაც კი ქრისტიანობა დამყარდა. დროთა განმავლობაში ბევრი ცვლილება გამოიარა ქართველმა ერმა... ხშირად, ძლიერ ხშირად ევონებოდა ისტორიული ქარტეხილი. მთელი იმისი ცხოვრება სხვა არა არის რა, თუ არ მოწამებრივობა... გარშემო მტრები ევიენენ და სურდათ ქართველი ერის მოსპობა, მისი სახსენებლის აღგვა დედამიწის ზურგიდან, მაგრამ ქართველმა შეინარჩუნა არა თუ მხოლოდ თავისი ფიზიოლოგიური, სხეულებრივი არსებობა, არამედ მთელი თავისი მდიდარი კულტურა: მწერლობა სალიტერატურო და საერო, ხუროთმოძღვრების ნაშთნი, მხატვრობა, ქანდაკება, ისტორიული საბუთები: გუჯარები და სიგელები, მატიანეები, თანამედროვეთა წერილები (ქრონიკარები), სამართალი, თვისი საკუთარი ზნე-ჩვეულებანი და სხვა...

მეცხრამეტე საუკუნეში ქართველი ერი მიძინებულ-მოდუნებული იყო ოთქმის მთელი ორმოცდა ათი წლის განმავლობაში... ხალხი ასეთი ძილისაგან გამოარკვია უპირველესად ქართველმა პოეზიამ, ნიკ. ბარათაშვილმა, გრ. ორბელიანმა, ილიამ და აკაკის, ვახტ. ორბელიანმა, რაფ. ერისთავმა, გიორგი ერისთავმა და სხვა ქართველ მწერალთა მედგარმა ხმამ ძალი გაუფრთხო ქართველობას... მის შეგნებაში შეაშუქა თვისი ცხოვრების კრიტიკის სხივმა... ის გამოფხიზლდა, ნამძინარევმა თვალები ამოიფშვნიტა გაიხედ-გამოიხედა და დაინახა, რომ უფსკრულის პირთან იყო მიახლოებული. ერთი-ორი ნაბიჯი კიდევ და შთაინთქმებოდა ამ უფსკრულის წყვდიადში. მას მიელოდა გადაშენება... ქართველი მწერლები ნათლად მიხვდნენ, რომ საქართველოს—

„დამოკლეს ხმალი პრიალა
დაჰყურებს დახრილ თავზედა,
და სურს იმისი ხსენება
აღმოფხვრას ქვეყანაზედა.
არ ესმის, რომ მის არსებას
მოსპობს ეს ხმალი მჭრელია,
და რომ სიკვდილი ერისა
ყველა სიკვდილზე ძნელია!“.

თითოეული ქართველი მწერალი მაშინ თავისი თავის შესახებ თითქოს ამბობდა რომ „ძე მსურსო:

„შეეატყობინო მოძმეებს
ჩემი ღრმა სულის კვეთება:
და ავაშორო საშიში
სიკვდილი—გადაშენება!

ყველა იმ სახსარმა, რომლის მეოხებითაც გამოიღვიძა ქართველმა ერმა თვის მოწინავე პირთა გამოფხიზლების სახით, თავი მოიყარა 1850 წლებში. მაშინ საქართველოს მეფის მოადგილედ იყო მიხეილ სვიმონიძე ვორონცოვი, რომელმაც თვისი სახელი უკვდავჰყო ქართველი ერის ისტორიაში... სწორედ ამ დროს დაამთავრა სწავლა დიმიტრი ბაქრაძე ბაქრაძემ მოსკოვის სასულიერო აკადემიაში. იმ დროს დაარსდა ქართული თეატრი, მას მოჰყვა ქართული ჟურნალი „ცისკარი“... დ. ბაქრაძე ხედავდა ყოველივე ამას და ნათლად გრძნობდა, რომ დიდებული ისტორიის მქონენებს ეჭირვებოდა რიგიანად შედგენილი, მეცნიერულად შემუშავებული ისტორია, ურომლისოდ მისი სული მტკიცე ნაბიჯით მომავლისაკენ შეუძლებელი იყო... მხოლოდ იმ ერს შეეძლია თვალი გაუსწოროს და უშიშრად უცქიროს მომავალს, ვინაც ზედმიწევნით იცის თვისი წარსული. არყოფილა იმის მაგალითი, რომ რომელიმე ერს თვისი ვინაობა, თვისი არსებობა შეენარჩუნებიოს, დაეცვას თვისი ისტორიული წარსული შეუსწავლელად. მიმლემ სოქვა: ისტორია ადგენს ერისა.. ჭეშმარიტად, ყოველი ერი ისტორიით სულდგმულობს; ისაა საგანძური, სადაც ერი ჰპოუ-

ეროვნული ბიბლიოთეკა

მხრჩოლავი გაზი.

(დასასრული იხ. „სამშ.“ № 110)

„თვით გერმანელები როგორღა იფარებენ თავს მისი გავლენისაგანაო?“ იკითხავს მკითხველი.

მათ ამის შესაფერი იარაღიც თან დააქვთ და როცა დასჭირდებათ, მათ მის გავლენას ადვილათ იშორებენ თავიდან; ამ იარაღს „ასპირატორს“ უწოდებენ. ჯარში ამ მიზნით ხმარებული „პროტივოგაზი“ უბრალო თვალსაფარი უნდა იყოს და „ასპირატორობის“ მაგიერობას ვერ უნდა ასრულებდეს. იგი ჯარის კაცს მხოლოდ სიბრძავისაგან თუ იხსნის, მაშინ როდესაც „ასპირატორი“ ფილტვების მოშხამვისგანაც უზრუნველყოფს.

სიძნელე იმაშია, რომ გერმანელები, როგორც ინგლისელთა „სპეციალურ კომისიას“ გამოურკვევია, მხრჩოლავ გაზებს ორგვარნ ივნიერებისგან ამზადებენ — ხლორისა და ბრომისაგან. ამათში ბრომი უფრო მაგარია და თვალზედაც დაეღუპველათ უფრო ის მოქმედებს. რაც შეეხება ფილტვებს ის მოშხამვას და ამნაირათ ჯარისკაცთა მოხრჩობას, ამ მიზანს ორივე ნივთერება ზემოწევნით აღწევს;

და აი სწორეთ ამის თავიდან აცილებლათ მოკავშირეებს ჯერ ვერაფერი ვერ გაუწყვიათ და „ასპირატორების“ მაგვარი ვერაფერი მოუგონიათ. მხრჩოლავი გაზი, როგორც ბრძოლის იარაღი გერმანელებმა, როგორც გვახსოვს, პირველათ ამ გაზაფხულზე იხმარეს საფრანგეთის ფრონტზე ინგლისელების წინააღმდეგოთ; შემდეგში ის ფრანგებიც და რუსების წინააღმდეგაც გამოიყენეს.

პირველ ხანებში იგი, როგორც დანახეს, მაინცა და მაინც საშიშრათ არ ეჩვენებოდა, რადგან მისი ძალის და გავლენის გამოყენება მეტათ განსაზღვრული იყო.

გაზების ღრუბლების გამოშვება მტრის ფრონტისაკენ მხოლოდ ქარი ან დღეში შეიძლებოდა და ისიც ისეთ ქარის დროს, რომელიც მტრის ბანაკისაკენ ჰქროდა: გაზის ღრუბლები ქარისთვის უნდა გამოეტანებიათ. ამიტომ ამ იარაღს გერმანელები ყოველ საჭიროების დროს ვერ ხმარობდენ, ისეთი შემთხვევებიც ხშირი იყო, როცა მისი ხმარების დროს ქარი მიმართულებას იცვლიდა ხოლმე და დამღუპველი გაზები გერმანელებს უკანვე უბრუნდებოდა და მტრის ნაცვლად მათვე ავლენდა მუსრს.

ამ ბოლო დროს გერმანელებმა ინგლიც თავიდან აიშორეს და მხრჩოლავი გაზების იარაღათ გამოყენება შესაძრნევათ გააუმჯობესეს.

საქმე შემდეგნაირათ მოაწყვეს:

ხლორის გაზი ჯერ სითხეთ აქციეს, რაც ორგანიულ ქიმიაში დღემდეც ცნობილი იყო და მერე ეს სითხე ბრძოლის ველზე განსაკუთრებული აპარატებით კვლავ გაზებათ აქციეს და შორს მანძილზე გადაისროლეს.

ასეთი აპარატებიდან გამოსულ გაზების ღრუბელს სისქე ერთ სეჟენახევარი აქვს და ის მოყვითალო-მომწვანო ფერისაა; თუ შესაფერი ქარი ქრის, ეს ღრუბელი სწრაფათ მიჰქრის ჯერ ზევით მტრის ბანაკისაკენ და რადგან ხლორი ჰაერზე ორჯერ უფრო შძიმეა, ამიტომ იგი რამდენიმე მანძილის გავლის შემდეგ ისევ ძირს ეშვება და მტრის ფრონტს და მის მიდამოებს სწამლავს.

ბრომის გაზი ხუთჯერ უფრო მძიმეა ჰაერთან შედარებით; ამიტომაც იგი დედამიწას ნისლივით იკვრის ხოლმე და ჯარის კაცთა რაზმებს ეფინება; და რადგანაც ბრომი ხლორთან შედარებით უფრო მაგარი საწამლავია, ამიტომაც მისი გამანადგურებელი შედეგებიც უფრო თვალსაჩინოა და თავზარდამცემი!

თავზარდამცემია ის გარემოებაც, რომ ბრომის მადნის მოპოვების მხრით გერმანელები განსაკუთრებულ მდგომარეობაში არიან. ხლორის შოვნა ყველგან შეიძლება, რადგან იგი მარილისგან იხდება, ხოლო ბრომი თითქმის მარტო გერმანიაში — სტასფურტის სამარილე მადნებში — მოიპოვება.

აქედან ცხადია, თუ რა განსაკუთრებულ პირობებში არიან გერმანელები და რა თავზარდამცემ იარაღს ხმარობენ ისინი ახლანდელ ომში!

კრუპის ზარბაზნები და მხრჩოლავი გაზები, აი რითი იმარჯვებს იგი და რითი აპირებს . . . . . .

დ—ელი.

ახალი ამბავი.

ქუთაისი.

✦ დ. ლაილაშიდან დაბრუნდა ქუთაისის საოლქო სასამართლოს უფროსი თავმჯდომარე ბ-ნი ფედოროვი, რომელიც შაბათს, 20 ივნისს, დ. ლაილაშში დაესწრო ახალი სასამართლოს კურთხევას, ლაილაშიდან დაბრუნდა აგრეთვე საოლქო სასამართლოს სესია.

✦ კვირას, 21 ივნისს, ქუთაისის საკათედრო ტაძარში ქუთაისის საისტორიო და საეთნოგრაფიო საზოგადოების გამგეობის მეთაურობით გადახდილი იქნა პანაშვიდი დიმიტრი ზაქარიას ძის ბაქრაძის სულის მოსახსენებლად, — მისი გადაცვალებიდან 25 წლის შესრულების გამო. პანაშვიდს ხალხი ბლომათ დაესწრო.

✦ ხმოსანმა გრიგოლ ივანეს ძე გველესიანმა ქალაქის საბჭოში განცხადება შეიტანა, რომ აირჩიონ ხმოსნებიდან მეორე წარმოდგენილი კავკასიის სამოსწავლო ოლქის კრებებზე დასასწრებლათ.

✦ კვირას, 21 ივნისს, დღის 12 საათზე საფირჩხიაზე აკურთხეს დავით კლდიაშვილის სახელობის უფასო წიგნსაცავ-სამკითხველო. კურთხევის შემდეგ გრძნობიერი სიტყვა წარმოსთქვა დეკანოზმა მამა ივლიანე აბესაძემ, დასასრულ გადაღებული იქნა დამწყები საზოგადოების სურათი.

✦ რადგანაც დრამატ. საზ. ახალმა გამგეობამ ძველისაგან მემკვიდრეობით მხოლოდ ვალი მიიღო, გამგეობა იძულებულია მომავალი სეზონის საწარმოო საშუალების შესაძენად შესაფერისი ღონისძიებანი მიიღოს!.

სხვათა შორის გადაწყვეტილია ახლო მომავალში გაიმართოს დიდი სეირნობა, ქუთაისისთკის ჯერ უცნობი პროგრამით.

✦ კვირას, 21 ივნისს, სოფ. შრომაში (შორაპნის მაზრა) აკურთხეს ახალად კახსნილი სამკითხველო. ამავე დღეს კამარა სადამო, მაგრამ სადამოს ტუდმა ამიდმა ხელი შეუშალა.

✦ სასამართლო. ქუთ. ოლქის. სასამართლომ 21 ივნისს გაარჩია საქმე ბოქაულათ ნამყოფის ნესტორ ლევანის ძის ლორთქიფანიძისა, რომელსაც ბრალს სდებდენ სისხ. სამ. 2 პ. 3 ნაწ. 354 მუხლის ძალით ლორთქიფანიძეს იცავდა ნაფიცი ვექილი სიმ. მიხ. ამირეჯიბი. სასამართლომ ბრალდებული უდანაშაულოთ სცნო და გამართლა.

✦ როგორც სოფ. ბაშიდან (ქუთ. მაზრა) გვწერენ, მოდიდებულ მდინარეებს ყანები სრულიად წაულეკია. 20 ივნისს ადიდებულ მდინარეს მოუტაცნია პ. ნიკორაძის ცხენი და სხვა წვრილი ოთხფეხი. მდინარის ადიდება სოფელს ყოველღღე დიდ ზარალს აძლევს.

✦ სრულიად რუსეთის ეკლესიისაგან დამხვევი საზ. კავშირის დაარსებიდან 25 წლისიოანი სრულდება 1 ივნისს. ამ დღეს პეტროგრადში გადახდილი იქნება იუბილეი, რომელზედაც დასასწრებლათ ქუთაისიდან იწვევენ ქალაქის მოურავს. იუბილეის წინა დღით, საღამოს 5 საათზე, პეტრეპავლეს ტაძარში საზოგადოების დამაარსებელის ხელმწიფე იმპერატორის ალექსანდრე მეორის კუბოსთან გადახდილი იქნება პანაშვიდი მისი სულის მოსახსენებლათ.

✦ ხვალ, 24 ივნისს, საადგილმამულო ბანკში მოხდება მეორე ვაჭრობა ქალაქ ქუთაისის მამულებისა, რომლის პატრონებსაც ბანკის გადასახადი არ წარუდგენიათ.

✦ ქალაქის გამგეობის ახალი წევრის არჩევა მომავალ სეკტემბრამდის არ მოხდება.

✦ შაბათს, 20 ივნისს ქალაქის თვითმართველობის დარბაზში შესდა ძველი საქველმოქმედო საზოგადოების საზოგადო წლიური კრება, რომელსაც დაესწრო ათამდე წევრი და გარეშე პირებიც სულ ამ საზოგადოებას ჰყოლია მხოლოდ 19 წევრი. (!) კრებამ მიმდინარე ხარჯები დაამტკიცა. ბოლოს იმ ჯელეს ამ საზოგადოების ქონების ლიკვიდაციის შესახებ. საზოგადოებას ჰქონია მამული 210,000 მანეთად ღირებული, რომელიც ლიკვიდაციის შემდეგ წევრების აზრით უნდა გადაეცეს ქართველ საქველმოქმედო საზოგადოებას და ზოგის აზრით ქ. შ. წ. კ. გამავრც. საზ. ქუთაისის განყოფილებას. გამკეობამ ლიკვიდაციაუარყო. დასასრულ კრებამ დაადგინა მიენდოს კომიტეტს ლიკვიდაციის შესახებ მოხსენების შედგენა, რომელიც გაირჩევა ამ ახლო მომავალში საზოგადო კრებაზე.

✦ წელს წინამძღვარიანთ კარის სამეურნეო სასწავლებელი დაუსრულებია 14 ახალგაზდას.

✦ შაბათს ოც ივნისსა და კვირას, 21 ივნ. ქალაქის თეატრში დანიშნული იყო ქართული წარმოდგენა, მაგრამ საზოგადოების დაუსწრებლობის გამო შემდეგისთვის გადაიდვა.

✦ ხვალ ქალაქის თეატრში წარმოდგენილი იქნება **„ცხოვრების გმირი“**.

✦ სამტრედიის მომხმარებელ საზოგადოებამ შუამდგომლობა აღძრა სიმ ნდის მოსატანათ რამდენიმე ვაგონის მიცემის შესახებ. ბ-ნმა გუბერნატორმა უკვე დააკმაყოფილა.

✦ როგორც ოზურგეთიდან გვწერენ ფუთი პარკი 13 მანეთად ფასობს. ქ. შუშაში პარკი 20 მანეთად ფასობს.

ქუთაისში პარკის ფასი 15 მანეთს ზევით არ ადის.

✦ 28 ივნის დ. ახალ სენაკში წარმოადგენენ ლ. სარელის მონაწილეობით „და-ძმა“-ს.

✦ აბრეშუმის პარკის მყიდველებმა გუბერნატორის წინაშე ვაგონები გამოითხოვეს, რის ნებართვაც უკვე მიიღეს.

✦ 24 ივნისს, ქუთაისის საოლქო სასამართლოს სისხლის განყოფილება გაარჩევს: ისაკ ბუხბინდერის, გრიგოლ ჯაქიძის და ილარიონ ჯ ნელის საქმეს.

✦ ქუთაისის რკინის გზის უფროსმა ტყრულისაკენ სალამოს სახალხო მატარებელი უკვე დანიშნა.

შეცდომის გასწორება.

კვირის ჩვენი № ზეთის დამატებაში აიდარ-ბეგ აბაშიძის სურათის ქვეშ ეწერა: „სოფლის მასწავლებელი“ — უნდა იყოს: ბათომის პირველ დაწყებითი სასწავლებლის მასწავლებელი.

ნაშდვილი სპეკულიანტორი.

შარშანდელ გაზაფხულისა და ზაფხულის წვიმებმა ჩვენში, სამეგრელოში, სიმინდის მოსავალი ძრიელ დაზიანა და შედეგად მოყვა საერთო შიმშილობა.

ადგილობრივმა მთავრობამ, ზუგდიდის მაზრის უფროსის თაოსნობით, ყოველივე ღონე იხმარა, რომ ჩრდილოეთ კავკასიიდან მსხვილ ვაჭრებს მოეტანათ სიმინდი და ხელსაყრელ ფასად გაეყიდნათ, რისთვისაც აღძრეს ჯერი შუამავლობა უმაღლეს მთავრობასთან. ადგილობრივი მთავრობის გულწრფელისა და მხურვალე მონაწილეობის საშუალებით გამოჩნდა ძლიერ პატრიოტული ვაჭარი სენაკში, გ. ქ ძე, რომელმაც თავზე იდვა ვალდებულება, ჩამოეტანა სიმინდი სენაკსა და ქვალონში და გაეყიდა ფუთი არა უმეტეს მანეთისა და სამი კაპეიკისა.

როცა ეს [illegible] დელ, დიდი ვაჭრის ნოქარმა, ი. ქ-რიამ, ფრიად აშკარად დაგვანახა ზუგდიდელ საზოგადოებას, რომ ის უფრო ადრე, უფრო ხელ-საყრელ ფასად გაყიდის სიმინდს აქ ზუგდიდსა და ანაკლიაში, უფრო დაახლოვებულ ზუგდიდის მაზრისთვის ადგილებში.

ამ კითხვის შესახებ თ-დ ნიკოლოზ დადიანის ინიციატივით, მოხდა კრება თავად-აზნაურობისა, რომელმა კრებამაც აღძრა შუამდგომლობა მთავრობის წინაშე, რომ ორდანე ქირიას მისცემოდა გროზნაში ან კიდევ სხვაგან მოთხოვნილების თანახმად, დღეში რაოდენიმე ვაგონი, რომ დამშეულ მაზრისათვის სიმინდი დროულ მიეწოდებინა. შუამდგომლობა, როგორც ჯეროვანი და საყურადღებო, გუბერნიის უმაღლესმა მთავრობამ დააკმაყოფილა. ბ. ქ-რიამ, იხელთა რა მთავრობის მოწმობა, გასწია ჩრდილოეთ-კავკასიისაკენ. დაყო იქ რამდენსამე ხანს, მაგრამ რა გააკეთა არავინ იცის. მას აქეთ გავიდა ოთხ-ხუთი თვე და არა თუ ათასი ფუთობით, სიმინდის მარცვალიც არ გვინახავს ჯერ ქ-რიასაგან ჩამოტანილი. დაჯერებულნი ბ. ქ-რიას სიტყვებით და საშუალებით, რადგან მისი ხანეინი ვაჭარი, მართლაც, შეძლებული პირი იყო და შეეძლო რაოდენიმე ასი ათასი ფუთი სიმინდის ყიდვა, ადგილობრივმა ინტელიგენციამ სხვა ზომები არ მიიღო, რომ კიდევ სხვა ვაჭრებიც მოეძებნათ, რომლებსაც შეეძლოთ შეერთებ თ თავისი და საერთო საშუალებით მოეტანათ საზოგადოებისთვის საყოფი სიმინდი უფრო ხელსაყრელ ფასებში, რადგან, როგორც ახლა გამოჩნდა, თურმე ჩრდილოეთ-კავკასიიდან ჩამოტანილი სიმინდი აქ ანაკლიაში შეიძლება უზარალოდ გაიყიდოს ოთხ აბაზ-18 შაურათ. მიუხედავად ყოველივე ამისა, ბ. ქ-რიამ ნაცვლად სიმინდისა, გამოაგზავნა დ. ზუგდიდში პურის ფქვილი რაოდენიმე ათასი ცალი, რომელშიაც იგეზდა ორ-ორ მანეთს ცალში. რასაკვირველია, ფუთში ორი აბაზი მოგება ვაჭრისთვის უფრო სასარგებლოა, ვიდრე ერთი შაურია ფუთ სიმინდზე.

— ასე დაატყუა ზუგდიდის საზოგადოება ბ. ქ-რიამ. ნეტა ვიცოდეთ რითი იმართლებს იგი თავს მთელი საზოგადოებისა და იმ პირების წინაშე, რომელნიც სათავეში უდგენ ამ საზოგადოებას? ხომ არ დაავიწყდება ბ. ქ-რიას თავისი სიტყვები,: „მართალია, მთავრობამ ნებართვა მომცა, მაგრამ რკინის გზის მთავრობამ ვაგონები არ მომცა, მაქვს ნაყიდი 83 ათასი ფუთი სიმინდი გროზნასა და ნოვოროსიაში, უკანასკნელი პუნქტიდან ათ დღეში გამოვაგზავნი ანაკლიაში სიმინდს და თქვენ ურმებ თ დახვდით“-ო!? თუ ბ. ქ-რიამ იშოვნა ვაგონები და მოიტანა სენაკსა და ქვალონში სიმინდი, ნუ თუ ბ. ქ-რიას არ მისცეს ვაგონები. თუ ზოგიერთმა წვრილმა ვაჭრებმა იშოვნა რამოდენიმე ვაგონი სიმინდისთვის, ნუ თუ ბ. ქ-რიამ ვერ მიაღწია იმ მთავრობასთან, რომელმაც წვრილ ვაჭრებს შეუწყო ხელი? თუ ოჩამჩირეში ორთქლმავალ გემებით მოიტანეს სხვებმა სიმინდი, ნუ თუ ბ. ქ-რიამ იალქნიანი გემები ვერ იშოვნა, რომ მიმინდი ანაკლიაში გამოეგზავნა? არა მგონია, რომ ბ. ქ-რიას რამე პასუხის გაცემა შეეძლოს ამ კითხვებზე, რადგან, ცხადია, თუ სხვებს შეეძლო ისიც შეიძლებდა, მაგრამ აქ მიზეზი სხვა უნდა იყოს, რომელიც სულ მალე გამოაშკარავდება და მაშინ არ ვიცი

ლობს თავისი სულის ღონეს, თვის გულის ძალის, თვის გონებრივ და ზნეობრივ აღმატებულებას, თვის ვინაობას, თვის თვითნებას.. უტყუარი ჭეშმარიტებაა, რომ რასაც ნამყო, წარსული არ ჰქონია, იმას არც აწმყო აქვს; რასაც აწმყო არა აქვს, იმას არც მომავალი აქვს.. აწინდელი ცხოვრება იმ ხანა ყოფს წარმოადგენს, რომელსაც ფესვები ადგმული აქვს წარსულის ნიადაგში. ისტორიის შესწავლა აძლიერებს ეროვნულ თვით შეგნებას, ერთგვარ სიამაყეს ანჭებს ერს, ზრდის ეროვნულ თავმოყვარეობას, აღანთებს მამულისშეილობისა და სამშობლოს სიყვარულის კერას. ერი, რომელსაც დიდებული წარსული აქვს, მუდამ თამამია, პირდაპირი, დარბაისლური..

განსაკუთრებით ჩვენისთანა ბედში მყოფი ერისთვის ისტორია დიდებული მოძღვარია. ის გუშაგია მისი ეროვნული მაღლიანობისა, მისი ენისა და ვინაობის დაცვისა... აქედან ცხადია ჩვენთვის ის დიადი როლი, რომელიც ჩვენმა ისტორიულმა ბედმა მიაკუთვნა ქართველ მეისტორიეს. ქართული ისტორიის შემუშავებას მეცნიერულ ნიადაგზე ხელი მიჰყავს მეცხრამეტე საუკუნის მესამოცეწლებამდის პროფ. დ. ჩუბინაშვილმა, პლატონ იოსელიანმა, ბროსსემ, ბერძენოვმა, მღვიანეთ ხუცესთ შვილმა და სხვ... მაგრამ ესენი სწერდენ უფრო ხშირად ქართველთათვის გაუგებარ ენაზე, და მათ ნაწერებს ჰქონდათ მნიშვნელობა კაბინეტში მსხდომი ქართველი ინტელიგენტებისთვის და არა ხალხისათვ ს. საჭირო იყო ქართულ ენაზე საისტორიო ცოდნის შექმნა და ხალხში გავრცელება. თუ ერის ფართო მასა დაინტერესებული არაა რომელიმე საკითხით, — ეს საკითხი დღე-მოკლეა, ადრე და მალე დაკნეინ. მაგრამ თუ რომელიმე მოვლენას ფესვები ადგმული აქვს ხალხის სულსა და გულში და ხალხს უმრავლესობისათვის სანუკვარია, ამ მოვლენის აყვავება აუცილებელია... ეს ხალ ჭეშმარიტება შეეკნო მეისტორიე დიმიტრი ბაქრაძემ, რომელმაც საფუძველი დაუდვა პირველად ქართულ ენაზე მცენიერულად შემუშავებული ისტორიული წერილების და წიგნაკების შედგენას და ბეჭდვას. უკვე დამტკიცებულია, რომ ქართველი ერი მეცხრამეტე საუკუნეში ისტორიას არ წყალობდა და ისტორიის მკვლევართ საკინლად იგდებდა. მეისტორეს მზრუნველს, საფლავის მთხრელებს ეძახდენენ. დიმიტრი ბაქრაძე ამას არ შეუშინდა და არ შეუდრკა აგრეთვე იმ გარემოებას, რომ საქართველოს წარსულის შესწავლა ძნელი იყო... თითქმის ახლად იწყებოდა... მან პირველად შეასრულა თვის მიერ მიზნად დასახული საქმე და ჩაუდგა მტკიცე საძირკველი ქართული ისტორიის შესწავლას. ასეთი გვაქვს ვინაობის გაცნობა ჩვენთვის ძვირფასს განძს უნდა წარმოადგენდეს.

ილ. ფერაძე.

(შემდეგი იქნება.)

ახალი სენსაციონალური ბანკროტობა.

(ინგლისიდან)

ინგლისელ ბანკირ ბანკროტ ბანკროტ ბანკროტ

ცი თუ რას ბრძანებს ბ. ქ-რია და მისი პატრონი, რომელმაც თუ რამე ქონება შეიძინა ისევ დღეს დამშეული ზუგდიდის მაზრის საზოგადოებისაგან, რომელიც დღეს თითქმის სამსხვაროდ აქცია ბ. ქ—რიამ თავისი ვაჭრული განზრახვების მკოხებით. აი სწორედ ამას ქვინამდვილი სპეკულიაცია.

ზუგდიდელი „ვინმე“

აკაკის სალამო დ. ჩხარში.

ივნისის 13-ს დ. ჩხარში გაიმართა ადგილობრივი ინტელიგენციის ერთი ჯგუფის მეთაურობით ჩვენი დიდებული მგოსნის აკაკის ხსოვნის აღსანიშნავად სალიტერატურო სალამო. სალამოს ხალხი ერთობ ბევრი დაესწრო. ვებერთელა დარბაზი, რომელშიაც სალამო იყო გამართული, ხალხით გაჭედილი იყო, ბევრი უადგილობის გამო უკანვე ბრუნდებოდა და ზოგი კიდევ გარეთ აივნის წინ იდგა და იქიდან ყურობდა. მაყურებელთა რიცხვში უკლებლად ერია ადგილობრივი ინტელიგენცია, ახლომახლო სოფლის მასწავლებლები, მღვდლები, სტუდენტობა და მოსწავლე ახალგაზდობა. დარბაზი მშვენივრად იყო მორთული, განსაკუთრებით სცენა საკმაოდ კარგად იყო მოწყობილი; მას ამკობდა ჩვენი მწერლების სურათები, შუაგულზე აღმართული იყო აკაკის სურათი, რომელიც ხელოვნურად იყო ცოცხალი ყვავილებით მორთული. სალამოს დაწყებამდე გადახდილ იქნა პანაშვიდი აკაკის სულის მოსახსენებლად. სალამო დაიწყო აკაკის ბიოგრაფიის წაკითხვით, რომელიც გაგრძელდა 10 წამ.

ბიოგრაფიის წაკითხვის შემდეგ წაკითხულ იქნა რეფერატი ამ თემაზე: „აკაკი წერეთელი და მისი შემოქმედება“.

რეფერენტი სხვათა შორის შეეხო ჩვენი ქართველი ქალების გადაგვარებასა და გაქარაფშუტებას; აწმყოში დაუწყო ძებნა თამარებს, ნესტან-დარეჯნებს, თინათინებს, ქეთევნებს ნინოებს, ტარიელ-ავთანდილისთანა გმირებს, მაგრამ ვერსად ვერ პოვა და გულ-ნატკენმა მიუთითა მსმენელებს მგოსნის შემოქმედებაზე და შემდეგი სთქვა: დიდებული მგოსანი აკაკი წერეთელი თავის სიცოცხლეში სიკვდილამდის ასე გულდათუთ'ული გოდებდა და მოსთქვამდა თავის უკვდავ პოეზიაში ჩვენი ქართველი ქალების და ვაჟების გადაგვარებასა და გაქარაფშუტებას, მაგრამ დიდებული მგოსანი უიმედობას მაინც არ ეძლეოდა და მომავალზე გვითითებდა იმ იმედით, რომ მომავალი აგვ ზრდის ,ბევრს ნესტან-დარეჯნებს, თამარ-ქეთევან ნინოებს და ტარიელ-ავთანდილისთანა გმირთა-გმირ შვილებსო“ და სხვა... რეფერენტს ყოველივე თავისი სიტყვების დასამტკიცებლად შესაფერი ლის პოეზიიდან. ერთი სიტყვით, თემის შინაარსმა შეს ფერი შთაბეჭდილება მოახდინა მსმენელებზე, განსაკუთრებით ინტელიგენციაზე, მაგრამ ბოლოს მაინც იძულებული შეიქნა სცენა დემოსტრატიულად მიეტოვებია ორიოდე ხეპრე ქალიშვილების წყალობით, რამაც დიდი უკმაყოფილება და ჯულის წყრომა გამოიწვია ინტელიგენციის მხრივ. ამ ქალბატონებმა მაინც სულ ალარ მისცეს მოსვენება: ერთი მათგანი სცენის უკანიდან მოუ'ვენრად უკრ ნებდა: „просятъ сократить, довольно, сокращайте!“ ესსიტყვები ხშირად მეორდებოდა, მეორემ წუ'წუმის ღერი ესროლა სცენაზე კითხვის დროს რეფერენტს, მესამემ, რომელიც იქვე სცენის მახლობლად იჯდა ყველაზე წინ, შემდეგი უბეში სიტყვით მიმართა მას: „напрасно читаете, мы не слушаемъ.“ ამავე დროს სცენის უკანიდამაც განმეორდა კიდევ ხმა და ამის გამო დემონსტრატიულად დასტოვა სცენა სწორედ იმ დროს, როცა უკანასკნელს თავს კითხულობდა თავისი ნაშრომისას. სცენის დატოვება და გაცხარებული ხანგრძლივი ტაშის ცემა ერთი იქნა. ინტელიგენციამ საყვედურით მიმართა მას სცენის დატოვებისთვის და მოითხოვა ისევ მისი სცენაზე ასვლა და დათავება, მაგრამ მან აღარ ინება აღარც ნაშრომის დამთავრება და აღარც საკუთარი ლექსების წაკითხვა. აი ასე ხეპრულად იქცევა უდიდესი ნაწილი როგორც ქალიშვილებისა, ე. ი. ჩვენი დღევანდელი ქართველი ქალებისა, აგრეთვე ვაჟებისაც და რაღა გასაკვირვალია, აწმყოში რომ ერთობ ნაკლებად მოიპოვებოდეს „თამარ-ნესტან-დარეჯნები“ და „ტარიელ-ავთანდილისთანა“ გმირები?!! სწორედ საკვირველია ღმერთმანი! რად ჩაიდინეს ამ ქალბატონებმა ასეთი ცუდი საქმელი?!

დასასრულ სცენაზე წაიკითხეს ადგილობრივი სამინისტრო სკოლის მოწაფეებმა რჩეული ლექსები როგორც აკაკის ნაწარმოებიდან, აგრეთვე სხვებიდანაც. წარმოადგინეს აგრეთვე ილია ჭავჭავაძის დრამატიული ეტიუდი „დედა და შვილი“, რამაც კარგად ჩაიარა. საზოგადოდ სალამოზე სრული უწესრიგობა სუფევდა და იმედია შემდეგში მაინც აღარ განმეორდება ასეთები. არ შეიძლება მეთაურები დიდი მადლობის ღირსი არ იყონ ასეთი დიდი სალამოების გამართვისათვის, მხოლოდ უნდა ეცადონ რიგიან წესრიგის შემოღებას ყოველივის. როგორც დანამდვილებით გავიგე, ამავე ზაფხულზე სურთ კიდევ გამართონ მეორე მგოსნის დიდებულის ილია ჭავჭავაძის სალამო და, იმედია, მაშინ მაინც არ გამეორდება ასეთი შეცდომები. აკაკის სალამოზე შემოსული ფულს ორი დანიშნულება აქვს, მხოლოდ ფულის რაოდენობა ჯერ კიდევ გამორკვეული არაა.(?!)

ი. ძერულისპირელი.

დაბა-სოფელი.

ვანი. (ქუთაისის მაზრა) უბედურ კაცს ქვა ალმართში მოეწიაო, რომ იტყვიან სინამდვილეა. არ იქნა და არა ვანის საზოგადოების გამოკეთება და წინ წაწევა ყოველივე საქმეხან ერთი მიზეზი ეღობება წინ ხან მეორე. თუმცა საქმეს ხშირათ იწყებენ, როგორც კულტურულს, ისე სხვას... მაგრამ დაბადებისათანავე მომაკვდავს ემსგავსება. ავიღოთ ბაგალითისთვის ქსენონი, წ. ქ. გ-საზ. განყოფილება, ვანის უფასო საბაკითხველო და სხვა... ერთი სიტყვით რომელი დაწესებულებაც უნდა ავიღოთ ვანში ყველას შედეგი არა სასურველია. დანაშაულობა, რასაკვირველია როგორც ადგილს, ისე საქმის ინიციატორებსაც მიეძღვის, ვინაიდან შრომა ეზარებათ. საკ. როგორ მეტი ენერგიული სიფხიზლე ს ზოგადოების საკეთილდღეოთ. დიდ მიეტოვებელი ცოდვაა ვანს მოწინავე ძალებისთვის ასეთი დაუდევრობა, ვინაიდან ვანს უკვე კარგათ მომწიფებული ძალები ყავს.

წარსული წლის ნოემბერში დათიკო ბაღდავაძემ სურვილი გამოსთქვა, მომხარებელ საზოგადოების დაარსების შესახებ. ამ საქმეზე მუშაობას უკვე შეუდგენ. ამ გარემობამ ბევრ საზოგადო „მოღვაწეს“ აღუძრა სურვილი, და დღეს ყველა მეთაურობს-დაფერიათ კარანდაში და ქაღალდი და არდგენენ წევრთა რიცხვს. ვსურვებ საქმის მეთაურებს საზოგადოების საკეთილდღეოთ ზრუნვას, ხელო დიდი სიფრთხილე მართებთ, რომ ეს ფრიად სიმპატიური და ხალხისთვის სასარგებლო საქმე ცუდ ნიადაგზე არ იყოს დაყენებული, თორემ მომწიფებულ მასას ნდობა და სიყვარული დაეკარგება.

დასასრულ უნდა აღვნიშნო, რომ, როგორც შარშან, ისე წელ', დიდ უკ დურეს გაჭივრებას განიცდის შიმშილის მხრით ვანის საზოგადოება. შარშან ცოტათა სული მოიბრუნა ხალხმა მთავრობის სესხით, წელს კი ასეთი იმედი ჯერ არსაიდან სჩანს. საჭიროა განსაკუთრებუ ი ყურადღება მიაქციოს, ვისაც ჯერ არს.

ეკაშვილი

წერილი რედაქციის მიმართ.

ბ. რედაქტორო!

უმორჩილესათ გთხოვთ ადგილი დაუთმოთ თქვენს პატივცემულ გაზ. „სამშობლოში“ ამ წერილს და მით საშუალება გვიბოძოთ, რათა საზოგადოებას სრული შეშმარიტება განუმარტა იმ აურ-ზაურის შესახებ, რომელიც ამ უკანასკნელს ხანებში არის აღნიშნული სოც. დემოკრატების ორგანოებში ჩემს შესახებ.

გარემოება ასეთია:—1913 წელს, ლვინობისთვის პირველი რიცხვების გაზ. „მერცხლის“ ერთერთ ნუმერში „ზედამხედველი„ ფსევდონიმით საზიზღარი ტერმანებით მიხსენიებდა მე პირადი ინტერესებით გაუჟღენთელი კორესპოდენტი.

შეურაცხეყოფილმა რედაქციას მივმართე და მოვთხოვე კორესპოდენტის ვინაობა, მაგრამ ნაცვლად ზრდილობიანი მოპყრობისა და თხოვნის დაკმაყოფილებისა რედაქციიდან ლანძღვა გინებით გამომისტუმრეს; ერთმა თანამშრომელთაგანმა, რომელიც იქვე იმყოფებოდა, რედაქციის კალათი კინალამ მეროლა, როდესაც შევნიშნე, რომ საქმე არა მართლმსაჯულებთან მქონდა, რომელნიც კალმით ისე საშიშრათ მოქმედობდენ, როგორც ჩვენი, ბრალი დანით, გულნატკენი გამოველი და გადავწყვიტე მფარველობის აღმოსაჩენათ მიმემართა ოლქის სასამართლოს მგზალდებლისათვის, მაგრამ დიდათ პატივცემული გაზ. „იმერეთის“ ახლობელ თანამშრომელთა რჩევა-დარიგება ზეგავლენით დავთმე და შინ ნათქვამია: „ერთი შერჩა მელასაო, გაუმატა კბენასაო“, სწორედ ასე მოუვიდა სოფლის ნაცარ-ქექიას, ახლათ გამოჩეკილს კორესპონდენტს, მან ქურქი გამოიცვალა: „ზედამხედველობა“ „შოლტზე“ შესცვალა და აი, „შოლტის“ ფსევდონიმით წარსული—1914 წლის მაისის პირველ რიცხვებში გაზ. „აზრში“ წერილი მოათავსა ჩემს შესახებ, სადაც კიდევ უფრო მეტი საზ ზღარი ტერმინებით გაჟღენთილი ,პისტოლეტ მომიძღვნა. ამ წერილმა დიდი უკმაყოფილება გამოიწვია ჩემს ნაცნობ მეგობართა შორის, რომელნიც დაბეჯითებით მოხოვდენ, რათა პასუხი გამეცა ესე იგი, გამომეწვა სამედიატორო სასამართლოში.

მე კარგათ ვიცნობდი, თუ ვინც იყო და რა კაციც იყო ჩემი გამლანძღველი, რის გამო გულდაშვიდებით ვკითხულობდი მის ნაჯღაბნებს და უყურადღებოთ გოდორში ვყრიდი (მისი ვინაობა აღმოვაჩინე მეორე წერილის შემდეგ) ის სა რალო კორესპოდენტი ძალ-ღონე და ნება დაკარგული იყალთ გადაიქცა ერთი წითურ ქერა კაცის ხელში. როგორც ფარაონის ქურუმები ხელოვნურად დახლჩილს ჯოხებში გველებს აწვენდენ, რომელნიც ისევ იმათ ზხამავდენ-სწორეთ ასეთ ქურუმის როლს ასრულებდა „შოლტი“ ჩემს მიმართ. აკაკის მურია მაგონდება, როდესაც მის მოქმედებას ვუყურებ ჩემს გარშემო, თუ სხვაგან ვინც მჭადს გადაუგდებს იქეთ გარბის. განა ასეთი პირი ღირსი იყო პასუხისა!? ჩემი დუმილით გამხნევებულმა და გაყმეტებულმა შემდეგში ქუჩა-ქუჩა დაიწყო დამეკრება და ბაქაობა, რის გამო იძულებული გავხდი, როგორც საშინლათ გალანძღული, გამომეწვია ის სამედიატორო სასამართლოში. წარსული წლის გაზ. „იმერეთის“ № 73-ში მოვათავსე წერილი, რითაც „კულტურულ“ სასამართლოში ვიწვევდი („კულტურული“ სასამართლოს ჩემი მოწინააღმდეგეები ხმარობენ) და სხვათაშორის, ასეთი პირობებს ვთხოვდი; თითოეულს ჩვენგანს უნდა დაგვენიშნა სამ-სამი მსაჯული; ვინც გამტყუნდება იმას უნდა გადაეხ და 250 მან. ჯარიმა სხვა-და-სხვა სოფლისა წიგნსაკაგ-სამკითხველოებისა და სკოლების სასარგებლოთ და ამასთანავე ოცდა ოთხი საათის განმავლობაში უნდა მიეტოვებია სოფ. მათხოჯი, როგორც მავნებელ წევრს და განშორებოდა მას. გამოსვლის ვადა იყო ათი დღე დღიდან წერილის დაბეჭდვის, წინააღმდეგ შემთხვევაში უფლებას ვიტოვებდი მიმემართა ქუთაისის ოლქის სასამართლოს ბრალმდებლისათვის. ხსენებული ვადა გათავდა და ჩვენი ახლათ გამოჩეკილი კორესპონდენტ მეკობრე-სდუმდა, რადგან თავისი ზღაპრების დამამტკიცებელი საბუთები ხელთ არ ჰქონდა. („ეკვცდი, რომ დავსწერე, საბუთები ხელთ არა მაქვს“-ო აი, ამნაირი სიტყვები ოხრა, მან ხანში მეცხოვრებს, სტოდ. მიხეილ ჭავჭანიძეს, რომელიც დაამტკიცებს კ დეც) სულ-გრძელობა ვიხმარე და კიდევ ათი დღე მეტ გავჩერდი, მაგრამ, რადგან არ გამოგყვა,—როგორც უკვე მოქონდა აღნიშნული, მივმართე გაზ. „აზრის“ რედაქტორს ქალ. ალ. ცერცვაძის თხოვნით, რასაკვირველია, პირადათ, და ვთხოვდი კორესპოდენტი მოეცა ჩემთვის ოფიციალურად, რომ საშუალება მქონოდა დამნაშავეს სკამზე დამე'ვა, წინააღმდეგ შემთხვევაში იძულებული ვიქნებოდი მიმემართა ოლქის სა'ამართლოს ბრალმდებლისთვის და საჩივარი განმეცხადებია პირადათ მასზე, როგორც პასუხის მგებელ რედაქტორზე. ამას მოწმეებით დაუმტკიცებ მათ, თუ საჭირო იქნება. აქაც ცივი და მკვახე პასუხი მივიღე: „რაც გინდათ ი'ა ჰქენით, კორესპონდანტმა მოგვატყვილა, მაგრამ გაცემა მი'ი კანონში არ გვიწერია“-ო. ამის შემდეგ მ ვმართე სასამართლოს, ასე მოიქცეოდა ჩემს ადგილზე ყოველი მოქალაქე, რომელსაც უდრალმდებელო ოქმი ქალ. ალ. ცერცვაძისას. გაზეთ[illegible] „აზრი“ და „[illegible] გულის წყრომ[illegible] მიმართ; პირველი ამა წლის № 88-ში, მხოლოდ მეორე კი № 4-ში და მიკე ნებენ თითქოს შე გვერდი ავუარე კულტურულ საშუალებს, რაც მტკნარ სიცრუეს შეადგენს.

„ახალი კვალის“ თაყვანის მცემელნი, რიცხვით ოთხ კაცი (თუ მართალია!?) იმდენით გაკადნიერებულან, პროტესტსაც კი მიცხადებენ ხსენებულს № ში. დარწმუნებული ვარ, საქმის გარკვევა რომ გაეგოთ მაშინ აგრე არ ანჭარდებოდენ და ჩემსკენ სასროლ ტალახს იმ ცრუ კორესპონდენტს მიაყრიდენ სახეში, რომელმაც თვისი გარეწარი მოქმედებით ასეთი ცუდი მდგომარეობაში ჩააყენა რედაქტორი.

დასასრულ არ შემძლია არ ვაღვიარო მათ საყურადღებოთ შემდეგი:—არავითარი პროტესტ მუქარის წინაშე ქედს არ მოვიხრი, როდესაც სიმართლე ჩემსკენ არის და თან ვაფრთხილებ ზოგიერთ წინ-დაუხედავ ნაცარ-ქექია კორესპონდენტს, ფრთხილათ იყოს, რომ დამნაშავის სკამზე არ წამოსკუპდეს.

მათხოჯის სკოლის უფროსი მასწავლებელი **გიორგი წივწივაძე.**

ბატონო რედაქტორო! გთხოვთ თქვენს პატივცემულ გაზეთ „სამშობლოში“ მოათავსოთ შემდეგი:

თავის ღია წერილში ბ. ბესარიონ ჯორჯიკია აქვეყნებს ბრალდებებს ჩემს წინააღმდეგ და მიწვევს სამედიატორო სასამართლოში.

მაგრამ რაკი ჩემის, როგორც მამასახლისის, ე. ი. მთავრობის მოხელე პირის, წამოყენებულ ბრალდებებში საქმის გარჩევის უფლება სამედიატორო სასამართლოს არა აქვს და არც მე მაქვს უფლება გამოვიდე ასეთ სასამართლოში თავის გასამართლებლათ, იძულებული ვარ მივმართო მთავრობის სახელმწიფო სასამართლოს და მისი ძალით დავიცვა ჩემი პატიოსნება უსაფუძვლო შელახვისაგან.

ნოჯიხევის სოფლის სახოგადოების მამასახლისი **ბართლომე ცხადაია.**

რედ.-გამომ. **ი. თ. ცინცაძე.**

მუშაობს ხრესილის მაღნეული წქლის ძმ. ჟორჟოლაძეების სამეურნალო

—ა ბ ა ნ ო.—

აბანო მდებარეობს მადლობ ბუნებით შემკულ მთის ფერდზე და, როგორც ნამდვილ გამოირკვა, კურნავს მრავალ სხვადასხვაგვარ ავათმყოფობას: ქარებს (რევმატიზმს) სხვადასხვაგვარ მეწუკს, საუმწეილოებს, ნერვების სისუსტეს, ჩაუოდილ ტიებს (მალარიას), კუჭის ტკივილს, ფენურიულ ავათმყოფობას, ეგზემას, სასიენეს და სხვა. წყალი მიიღება ტიეი და თბილიც. ხრესილში იმყოფება მეექიმე, სადაც მსურველს შეუძლია მიმართოს დარიგებისათვის, არის სუფთა საკუთარი ფასები, სუფთა ბინა და სასმელ-საჭმელი. ფასები ეფუძნება ძალიერ ზომიერია. აბანო მდებარეობს სადგურ „სერნოა ვოდში“. ხრესილში სადგურია მატარებლის გასასვლელათ. სადგურიდან 150 საჟენია აბანომდი. ქუთაისის სადგურზე მოითხოვეთ ბილეთები სადგურ ხრესილის „სტანცია სერნოა ვოდის“. ქუთაისიდან მატარებელი კვლის დილის ერთ საათზე, დაბრუნდება საღამოობით. თ.

თ. მთავრიშვილის და ამხ.

წიგნისა და საკანცელარიო მაღაზიამ დაბეჭდა და გასაყიდათ გამოვიდა

„Цѣлебные минеральные источники въ Кутаисской губер.“ ц. 20 к. კ. მაჭავარიანისა.

იბეჭდება და მალე გამოვა ქართული ენის სახელმძღვანელო „**კაზმული სიტყვიერებითი ქრესტომათია: ჩვენი ძველი მწერლობა და ხალხური პოეზია**“, შედგენილი ს. რ. გორგაძის მიერ. იქვე იყიდება ყოველნაირი ქართული და რუსული ენის სახელმძღვანელონი, საყმაწვილო წიგნები, ახალი რუსული და ქართული ლიტერატურული ნაწარმოები, გეოგრაფიული ატლასები, კარტები და ყოველნაირი საკანცელარიო ნივთები. თ. მ.

უდიდესი სპეციალური წიგნის მაღაზია

კ. ი. ოცხელის და ამხ. ქუთაისში

ალექსანდრეს ქუჩა, თფილ. კომერც. ბანკის ქვეშ.

კ. ი. ოცხელისა და ამხ. წიგნის მაღაზიაში მოიპოვება ყოველ გვარი **სახელმძღვანელო** და საკითხავი წიგნი: ბელეტრისტული, პედაგოგიური, იურიდიული, საბავშო და მრავალი სხვა. აგრეთვე გვერდით გამართულია **ცნობილი საკანცელარიო მაღაზია დ. ი. ოცხელისა,** სადაც მოიპოვება ყველანაირი სამოსწავლო საკანცელარიო ნივთები.

—— კ ა ტ ა ლ ო გ ე ბ ი უ ფ ა ს ო თ —— თ.

ნებადართულია სამხედრო ცენზორისაგან.

სწრაფმბეჭდავი სტამბა ა. კოხრეიძისა — ქუთაისში